საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსია ტიტე მამიას ძე

მოსია ტიტე მამიას ძე (დ. 1946, სოფ. კახათი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფ. (1991). 1970 დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტი და იქვე განაგრძო მუშაობა ლაბორანტად. 1979-იდან იყო აფხ. სახელმწ. უნ-ტის (ყოფ. პედ. ინ-ტი) მასწავლებელი; 1996-იდან – თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი, შეთავსებით – ქართ. ენისა და ლიტ-რის კათედრის გამგე. 2002 დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში, 2006-იდან კი ამავე სასწავლებლის სამეცნ. სამსახურის უფროსი და სრული პროფესორია. 2009-იდან მუშაობს სოხუმის სახელმწ. უნ-ტთან არსებული ქართ. ლიტ-რის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორად.

1990 მონოგრაფიისათვის „დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა“ მიენიჭა საქართვ. სახ. განათლების სამინისტროს რესპუბლიკური, ხოლო 2013 წიგნისათვის „გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა“ – გ. შარვაშიძის სახ. პრემიები. **მ.** იკვლევდა ძვ.. ქართულ მწერლობას; ცნობილია მისი ნაშრომები: „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2005; დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ., 2010; ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია, თბ., 2011; მ. ავტორია პოეტური კრებულებისა – „რიბირაბო“ (1988); „შოუ ნანა“ (2005); „თიხის დაფა“ (2017); „მზე ათენიდან ამობარჩხალდა“ (2019) და სხვ.

თხზ.: ბიბლიური ზნეთსწავლულება, სოხ., 1991; ძველი ჩინური პოეზია, თბ., 2010; ქართული სასულიერო მწერლობის სახისმეტყველებიდან, თბ., 2016; წერილები „ვეფხისტყაოსანზე“, თბ., 2016; ოთხი სიცოცხლე, თბ., 2025.